საქართველოს მთავრობის

დადგენილება №359

2016 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, №94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაცულ ტერიტორიებზე (დაცული ტერიტორიების იმ კატეგორიებში, სადაც დაშვებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა), პირადი ან/და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობისათვის, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსით (ფიქალის ქვით) სარგებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დაცულ ტერიტორიებზე მშენებლობის მიზნით;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**